ეთიკის კომისიის
რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კოლეგიის თავმჯდომარე - ანა ლორია
კოლეგიის წევრი - ბესიკ ქარცივაძე
კოლეგიის წევრი - ნათია ჩიტაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 04.11.22
შეკითხვის ავტორი - ადვოკატი
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 017/22

I. შეკითხვა

ადვოკატსა და კომპანია B-ს შორის გაფორმდა იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ადვოკატს უნდა გაეწია საკონსულტაციო მომსახურება კომპანია B-სთვის. საკონსულტაციო მომსახურება მოიცავდა კომპანია B-სა და კომპანია E-ს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების შეფასებას. აღნიშნული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია E-ს (მოიჯარე) დაგროვებული ჰქონდა დავალიანება კომპანია B-ს (მეიჯარე) მიმართ. ადვოკატს უნდა შეეფასებინა საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც კომპანია B-ს შეეძლო სარჩელით მიემართა სასამართლოსთვის კომპანია E-ს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ კომპანია B-ს ჰყავს ორი პარტნიორი. კომპანია E-ს მიმართ დავის დაწყების სურვილი გამოთქვა კომპანია B-ს ერთ-ერთმა პარტნიორმა (პირობითად D-მ). კერძოდ, D-მ მიმართა კომპანია B-ს დირექტორს (პირობითად F-ი) და მოუწოდა დაეწყო დავა კომპანია B-ს კონტრაქტორი კომპანია E-ს წინააღმდეგ. სწორედ ამის შემდეგ დაუკავშირდა კომპანია B-ს დირექტორი F-ი ადვოკატს და შეუკვეთა საკონსულტაციო წერილის მომზადება. ადვოკატმა გაუწია კონსულტაცია კომპანია B-ს მითითებულ საკითხში. შემდგომში დამატებით, კომპანია B-მ კიდევ ერთხელ დაიქირავა ადვოკატი შემდეგი მომსახურების გასაწევად: კომპანია B-ს საერთო კრებაზე დასწრება და საერთო კრების ოქმის შედგენა. ადვოკატმა სრულად გაუწია მომსახურება კომპანია B-ს. აღნიშნული მომსახურების გაწევის შემდეგ, დაახლოებით 2 თვეში პარტნიორმა D-მ სარჩელი აღძრა კომპანია B-ს დირექტორის F-ის წინააღმდეგ დირექტორის მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევის თაობაზე. D აპელირებს მათ შორის იმაზე, რომ დირექტორმა არ დაიწყო დავა კომპანია E-ს წინააღმდეგ საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე. F-მა მიმართა ადვოკატს თხოვნით, რომ მან დაიცვას F-ის ინტერესები D-ს მიერ აღძრულ დავაში. აქვს თუ არა ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი და იქნება თუ არა ადვოკატის მიერ F-ის ინტერესების დაცვა ეთიკის კოდექსის დარღვევა?

II. ანალიზი

ეთიკის კომისიის შეფასებით, შეკითხვაში წარმოდგენილი ფაქტების მიხედვით, ვლინდება ინტერესთა შეუთავსებლობა და ადვოკატმა არ უნდა წარმოადგინოს კომპანიის დირექტორის (F-ის) ინტერესები კომპანიის პარტნიორის (D) წინააღმდეგ დავაში.

ეთიკის კომისიამ ადვოკატის ქმედებების აღმწერი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმებით.

> ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).
>
> ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.2).
>
> ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.ა).

„ინტერესთა კონფლიქტის დროს ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობს ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ აყენებს ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე №092/10).

„საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდეგ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, როგორიცაა კონფიდენციალობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №092/10).

„ეთიკის კომისიის შეფასებით, პროფესიული საიდუმლოებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მოთხოვნით, ადვოკატს პროფესიული ვალდებულება გააჩნია არამხოლოდ არსებული, არამედ ყოფილი კლიენტის მიმართ, შესაბამისად მას შესაძლებელია ინტერესთა კონფლიქტი წარმოეშვას, როგორც აქტიური კლიენტების უფლებების დაცვისას, ასევე ყოფილ და აქტიურ კლიენტს შორის არსებული საერთო ინტერესების გადაკეთისას. თავის მხრივ, ადვოკატისთვის წარმოშობილი ინტერესთა კონფლიქტი, საფრთხეს უქმნის კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპს, რამდენადაც ამ დროს, ადვოკატზე ზეგავლენას ახდენს სხვა ისეთი გარე ფაქტორები, რომლებიც კონკურენციას უწევენ კლიენტის ინტერესებს, ხოლო ეთიკური სტანდარტები ადვოკატს არ აძლევს შესაძლებელობას, რომელიმე მათგანს მიანიჭოს უპირატესობა. სწორედ ამიტომ - კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან

გამომდინარე, ადვოკატმა უნდა შეაფასოს პოტენციური კლიენტისათვის გასაწევი იურიდიული მომსახურების შინაარსი და განსაზღვროს კლიენტისთვის მომსახურეობის გაწევისას ხომ არ წარმოეშობა ინტერესთა შეუთავსებლობა. კერძოდ, რამდენად ერთი და იგივე ან დაკავშირებულ საქმეზე ითხოვს მისგან კლიენტი მომსახურეობის გაწევას ადვოკატის ყოფილი/აქტიური კლიენტის წინააღმდეგ და რამდენად არსებობს ყოფილი კლიენტის წინაშე არსებული კონფიდენციალობის ვალდებულების ხელყოფის საფრთხე“ (ეთიკის კომისიის 2023 წლის 11 ნოემბრის რეკომენდაცია №018/22)

ეთიკის კომისიის შეფასებით, კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოებიდან გამომდინარე იმისთვის, რომ დადგინდეს ადვოკატს წაროეშობა თუ არა ინტერესთა კონფლიქტი, აუცილებელია: 1) გაირკვეს საქმეში ჩართულია თუ არა ადვოკატის, ყოფილი თუ აქტიური, ორი ან მეტი კლიენტი და 2) აღნიშნულ კლიენტთა ინტერესები ერთმანეთს ხომ არ უპირისპირდება ერთი და იგივე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში. სწორედ ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, შეკითხვის მიხედვით, მოდავე მხარეებსა და ადვოკატს შორის არსებული ურთიერთობის სახე, ხოლო ამის შემდგომ, სადავო საკითხის შინაარსსა და ადვოკატის მიერ, დავის წარმოშობამდე, კომპანიისთვის გაწეულ მომსახურეობას შორის სამართლებრივი კავშირი.

შეკითხვის ფაქტებით სახეზე გვყავს ოთხი სუბიექტი: კომპანია-B, დირექტორი-F, პარტნიორი-D და კონტრაქტორი კომპანია-E. ადვოკატმა სამართლებრივი მომსახურება გაუწია კომპანია B-ს (ადვოკატის თავდაპირველ კლიენტს) კონტრაქტორ კომპანია E-სთან დადებულ საიჯარო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ადვოკატმა კომპანია B-ს, გაუწია კონსულტაცია კონტრაქტორი კომპანიის E-ს დაგროვებულ დავალიანებაზე და შეაფასა საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც კომპანია B-ს შეეძლო სარჩელით მიემართა სასამართლოსთვის კომპანია E-ს წინააღმდეგ. შესაბამისად, ადვოკატმა განახორციელა საადვოკატო საქმიანობა B-ს სასარგებლოდ, რომელიც უკავშირდებოდა E-ს მიერ დაგროვილი დავალიანების ამოღებას. რაც შეეხება პარტნიორ-D-ს, კომისიის შეფასებით, D პარტნიორსა და ადვოკატს შორის არ დამყარებულა კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა და D არ მიიჩნევა ადვოკატის კლიენტად, რადგან ადვოკატი სამართლებრივ მომსახურებას უწევდა იურიდიულ პირს - კომპანიას, და არა მის რომელიმე პარტნიორს. ანალოგიურად, არც F წარმოადგენდა ადვოკატის კლიენტს. შეკითხვიდან ირკვევა, რომ პარტნიორმა D-მ სასამართლოში წარადგინა დერივაციული სარჩელი დირექტორ-F-ს წინააღმდეგ. ამ დავაში, ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა დირექტორისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება ფიდუციური ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე, რაც გამოიხატა მათ შორის იმ ფაქტში, რომ დირექტორმა არ დაიწყო დავა კომპანია E-ს წინააღმდეგ სწორედ იმ საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე, რომლის შესახებაც ადვოკატმა კომპანია B-ს გაუწია საადვოკატო მომსახურება. შესაბამისად, კომისიის შეფასებით, ეს ორი საქმე (1. იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამართლებრივი საფუძვლების შეფასება, რომელზე დაყრდნობითაც კომპანია B-ს შეეძლო სარჩელით მიემართა სასამართლოსთვის კომპანია E-ს წინააღმდეგ; და 2. პარტნიორ D-ს მიერ აღძღული სარჩელი დირექტორის F-ის წინააღმდეგ ფიდუციური ვალდებულების დარღვევის თაობაზე, რაც გამოიხატა იმაში, რომ დირექტორმა არ დაიწყო დავა კომპანია E-ს წინააღმდეგ საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე) წარმოადგენს არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებს, რადგან ერთი და იმავე საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების სამართლებრივ შეფასებას და ვალდებულებების დარღვევიდან გამომდინარე მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს ეხება.

დერივაციულ (არაპირდაპირ) სარჩელში პარტნიორი გამოდის საკუთარი სახელით, თუმცა მოქმედებს კომპანიის ინტერესებით (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლები 222.1, 147). სასამართლოს მიერ დირექტორის მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, დარღვეულად მიიჩნევა კომპანიის და არა უშუალოდ პარტნიორის ინტერესები. „ფიდუციარს, ვალდებულება აკისრია კორპორაციის წინაშე, შესაბამისად, ამ მოვალეობების დარღვევისათვის მისი პასუხისმგებლობა დგება საზოგადოების, და არა საზოგადოების პარტნიორების ან რომელიმე პარტნიორის მიმართ“ *(საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე Noას-457–436–2015).*

შესაბამისად, კომისიის შეფასებით, იმ დავაში, სადაც დირექტორი F ადვოკატს სთხოვს წარმომადგენლობას, მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს ადვოკატის პირველი კლიენტი - კომპანია B. შედეგად, ინტერესთა კონფლიქტის არსებობისთვის საჭირო ერთ-ერთი წინაპირობა სახეზეა - სადავო ურთიერთობა წარმოშობილია ადვოკატის ყოფილ და პოტენციურ კლიენტებს შორის. აღნიშნულ დავაში F-ის ინტერესების წარმომადგენლობით ადვოკატი დაარღვევს ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ეთიკურ ვალდებულებას, რადგან მას უკვე განხორციელებული აქვს საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის - კომპანია B-ს სასარგებლოდ, ერთი და იმავე საიჯარო ხელშეკრულებაზე.

5.1 კომისიამ შეაფასა, არსებობდა თუ არა ერთი და იგივე ან/და არსებითად დაკავშირებული საქმე, სადაც ადვოკატს მისი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სთხოვდნენ სამართლებრივ მომსახურებას. „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლიდან გამომდინარე „ერთი და იგივედ“ შეფასდება საქმე, სადაც დავის საგანი, საფუძვლები და მხარეები ერთი და იგივეა. თუმცა ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოშობის საფრთხე არ არის დაზღვეული მხოლოდ დავის საგნისა და საფუძვლების განსაზღვრითა და მისი ერთი და იგივე საქმედ კვალიფიცირებით, რადგან შესაძლებელია დავის ერთი (საფუძვლის) ან ორივე ელემენტის (საფუძვლის და საგნის) შეცვლის შედეგად მიღებულ უკვე „ახალ საქმეში“, ადვოკატს მაინც წარმოეშვას ინტერესთა შეუთავსებლობა. ასეთ დროს, ეთიკის კომისიის შეფასებით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი მოწმდება არა „ერთი და იმავე“, არამედ „არსებითად დაკავშირებული“ საქმეების ტესტით. სამართლებრივად სხვადასხვა საქმე არსებითად დაკავშირებულად კი მაშინ ითვლება, როდესაც ერთ საქმეში მიღებული ინფორმაცია სამართლებრივად გამოსაყენებელია მეორე საქმეში სხვა კლიენტის სასარგებლოდ, რაც პოტენციური კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს“ (ეთიკის კომისიის რეკომენდაცია 018/22). შესაბამისად, კომისიის შეფასებით, „არსებითად ურთიერთდაკავშირებულად“ ჩაითვლება ისეთი საქმეები, სადაც საქმის განმსაზღვრელი ფაქტები ერთი და იგივეა, რადგან ამ ფაქტებისა და საადვოკატო მომსახურების განხორციელების პროცესში მიღებული სხვა ინფორმაციის მიმართ ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, რომელიც შეუზღუდავია დროში.

კომპანია B-ს დირექტორის - F-ის ინტერესს წარმოადგენს, დაიცვას მისი პოზიცია კომპანია B-ს წინააღმდეგ მათ შორის საიჯარო ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევაზე, დავის დაწყებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ადვოკატმა, თავის მხრივ, კომპანია B-ს, სწორედ იმ საკითხთან დაკავშირებით გაუწია სამართლებრივი კონსულტაცია, რომელსაც ეფუძნება პარტნიორის სარჩელი რა დროსაც ის კომპანიის ინტერესებით ხელმძღვანელობდა და განსაზღვრავდა დავის პერსპექტიულობის საკითხს. კომისიის შეფასებით, ადვოკატის მიერ,

კომპანიისთვის გაწეული მომსახურეობა და კომპანიის პარტნიორის მიერ დირექტორის წინააღმდეგ წამოწყებული დავა, არ არის ერთი და იგივე საქმე, თუმცა ისინი განიხილებიან „არსებითად ურთიერთდაკავშირებულ“ საქმეებად, რამდენადაც დირექტორის მიერ კომპანიისთის გაწეული იურიდიული მომსახურეობა და კომპანიის პერსპექტივიდან დამუშავებული საკითხი, ერთი და იმავე ფაქტებს ეხება და სამართლებრივ კავშირშია კომპანიის პარტნიორის მიერ წამოწყებულ დავასთან და ინფორმაცია, რომელიც დირექტორმა კომპანიისათვის კონსულტაციის გაწევისას მიიღო, შესაძლებელია სამართლებრივად გამოსადეგი იყოს პოტენციური კლიენტისათვის, რაც არსებითად უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს მას.

III. დასკვნა

შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტების მიხედვით, ადვოკატს კლიენტ F–ის ინტერესების დაცვის შემთხვევაში, წარმოექმნება ინტერესთა კონფლიქტი, ვინაიდან F-ის მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენს ადვოკატის ყოფილ კლიენტს - კომპანია B-ს, რომელსაც ადვოკატმა იმავე საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის დაწყების პრესპექტიულობა შეაფასა, რის შესახებაც, ახლა, კომპანია ედავება კოპანიის დირექტორს - F-ს ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის ნაწილში. შესაბამისად, აღნიშნულ ურთიერთდაკავშირებულ საქმეებში, კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, ადვოკატის ვალდებულებები ყოფილი (კომპანია B) და პოტენციური კლიენტის (კომპანია B-ს დირექტორის - F-ის) მიმართ ურთიერთსაწინააღმდეგოა და ადვოკატმა არ უნდა წარმოადგინოს კომპანიის დირექტორი მისი ყოფილი კლიენტის - კომპანია B-ს წინააღმდეგ.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ზესიკ ქარცივაძე/

კოლეგიის წევრი: /ნათია ჩიტაშვილი/